

## გულშემატკივრის გვირგვინი – თბილისელებს

მოსკოვი. “ტორპედოს”: სტადიონი. 24 აპრილი.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:0).

მოსკოვი: პილგუი, ნიკულინი, ნოვიკოვი, მახოვიკოვი, ბუზნოვი, პეტრუშინი, გერშკოვიჩი, კაზაჩონოვი, იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, მინაევი.

თბილისი: გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა).

გოლები გაიტანეს: ნიკულინმა (44 წ.) და შენგელიამ (77 წ.).

დუბლიორები – 0:0.

მხოლოდ ცივი, წვიმიანი ამინდი თუ გაგახსენებდათ, რომ ეს მატჩი ეს-ეს არის ფეხბურთის ჩემპიონატის რიგითი შეხვედრა იყო.

მოგვიანებით, ტელეტრანსლაციის დროს (მოსკოველებმა ამ შეხვედრის მხოლოდ ვიდეოჩანაწერი ნახეს) ვლადიმერ მასლაჩენკო იტყვის: “გაზაფხულისა ამ ორთაბრძოლას არაფერი სცხია”. იტყვის და კომენტატორის ამ სიტყვებს საკმაო საფუძველიც ექნება. ფეხბურთელებს არც დალლა დასტყობიათ და, რაც უფრო მთავარია, კარგა დადვინებული თამაში უჩვენეს მაყურებელს.

და მაინც, ის, რომ 24 აპრილის მატჩმა კმაყოფილი დასტოვა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის ქომაგნი, ალბათ, მეტისმეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უფრო თბილისელთა დამსახურება იყო.

მოსკოვის “დინამო” შარშანდელი შედეგის მიხედვითაც, თამაშითაც და საერთოდ, ტრადიციულადაც საკმაოდ ძნელი მეტოქეა. განსაკუთრებით კი ახლა ფეხბურთის მოყვარულმა კარგად იცის, რომ ევროპის თასების ფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობამ (საბჭოთა გუნდებიდან მხოლოდ მოსკოველი დინამოელები შემორჩნენ ევროპული ტურნირების გაზაფხულს), ნებით თუ უნებლიედ აიძულა ეს კოლექტივი, რაც შეიძლება სწრაფად, ფორსირებულად აღედგინა ზამთრის არდადეგებზე დაკარგული სპორტული ფორმა. რა თქმა უნდა, მერე და მერე, როცა ჩემპიონატი ყველაზე ძნელ აღმართს შეუდგება, ამ ნაადრევმა დატვირთვამ შეიძლება ძალზე ცუდი ნაყოფიც გამოიღოს, მაგრამ ჯერჯერობით, აპრილისა და მაისის მატჩებში მაინც, სავსებით ბუნებრივია, რომ მოსკოვის “დინამომ” სხვებზე მეტი შეიძლოს. და კიდევ: დნეპროპეტროვსკის მარცხის შემდეგ (მთლიანად ვენის “აუსტრიაზე” გადატანილმა აქცენტმაც თავისი თქვა), საკუთარ მინდორზე, საკუთარი მაყურებლის თვალში გუნდს რეაბილიტაცია ესაჭიროებოდა. თუმცა, დავით ყიფიანის თქმისა არ იყოს, ორი ათასი კილომეტრის გავლას მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ხელცარიელი დაბრუნებულიყო შინ, არც თბილისის “დინამო” აპირებდა.

ძველ მეტოქეებს დასაზვერი და შესასწავლი არაფერი ჰქონდათ და მატჩის დაწყებისთანავე შეუდგნენ “საქმეს”.

კაზაჩონოვსა და გერშკოვიჩს მიწავემაც აუბა მხარი. მოსკოველები ეპიზოდურად, მაგრამ სახიფათოდ უტევენ. და მაინც, თბილისელთა უპირატესობა საგრძნობია. სიტყვა “უპირატესობას” ახლა ხან ტერიტორიულს შემატებენ, ხან – სათამაშოს. მეტწილად პირველს არსებითად არ მიიჩნევენ, მაგრამ სტუმრად თამაშისას, მკითხველი დამეთანხმება, თბილისის “დინამოსთვის” ეს რაღაცას ნიშნავს, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. სხვა თუ არაფერი, როცა ბურთი

შენთანაა, მოისურვებ შეუტევ, არადა მშვიდად მაინც იქნები. ასე თუ ისე, თბილისელებმა გადაწყვიტეს ცენტრისთვის ზრდოლა და საწადელსაც მიადწიეს. ნახევარმცველთა გარდა ამ დავაში ყიფიანიც მონაწილეობს. გამოზომილად თამაშობენ მცველებიც. მასპინძელთა საჯარიმოს მისადგომებთანაც არც თუ იშვიათად ნახავთ ჩვენს თავდამსხმელებს. და უდოლმატოვოდ დარჩენილ მოსკოველთა დაცვას ხშირად უჭირს კიდევ გუცაევისა და შენგელიას გარღვევათა უვნებელყოფა.

ახლა დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმაც, რომ შარშანდელ სეზონში შენგელიას გასწვრივ დასმულმა არა ერთმა და ორმა კითხვის ნიშანმა საბოლოოდ დაკარგა ძალა. აკლიმატიზაცია დამთავრდა. ესეც წლევანდელი “დინამოს” შენაძენია და კარგის მეტი არც არაფერი გვეთქმის, თუმცა ერთი კი არის – რამაზი ჯერ მხოლოდ ფხას უსინჯავს იმ საფეხბურთო ძალას, რასაც ახალგაზრდა ფეხბურთელის პოტენცია გვპირდება.

ქართველმა ტელემყურებელმა ალბათ უკვე ნახა მაგნიტოფირზე ჩაწერილი ეს მატჩი, ნახა გოლებიც, შეხვედრის ბოლო ოცდაათი წუთიც, როცა მოსკოველთა კართან ზედიზედ იქმნებოდა საგოლე მომენტები. ნახა ძელიდან ასხლეტილი ბურთებიცა და მახვილგონივრული კომბინაციებიც. სხვისი არ ვიცი, და, ბოლო წლებში სტუმრად ნათამაშევი მატჩებიდან თუ რამდენიმეს გამოვყოფ, გუშინწინდელ შეხვედრასაც იმათ რიცხვს მივათვლი. არა იმიტომ, რომ თბილისის “დინამომ” საჭირო ქულა მოიპოვა, გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილში შეინარჩუნა ადგილი, ანდა მას შემდეგ, რაც ანგარიში გაათანაბრა, არა და აღარ აცალა პილგუის სულის მოთქმა.

უთუოდ შეიძლებოდა ამ მატჩის წაგება და საყვედურიც ძნელად თუ დასცდებოდა ვინმეს.

დამარცხება თავისთავად მწარეა. ეს შენი სისუსტის შეგრძნებაცაა, შენიანების წინაშე მოუხდელი ვალიცა და თანგამოყოლილი რაღაცნაირი სირცხვილიც. დამარცხებული, სპორტსმენი იქნება თუ მაყურებელი, თავდახრილი სტოვეებს სტადიონს. იმათთვის, ვისაც კი სპორტი უყვარს, საოცრად ნაცნობია ეს ყველაფერი. მაგრამ საბედნიეროდ, სპორტმა სხვაც იცის, ისე წაეწყობა ერთმანეთს მოვლენები, ემოციები, რომ ამ, თითქოსდა ექვიმუტანელ კანონებს ერთბაშად ეცლება საფუძველი და ყველაფერი თავდაყირა დგება.

ჰო. რა თქმა უნდა, ბოლოს ყველა გუნდის ძალაცა და ოსტატობაც ქულებით იწონება, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, მაგრამ იმ დღეს მატჩის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე, მაშინ როცა თბილისელები ჯერ კიდევ აგებდნენ, არც ქულის დაკარგვის სიმწარე მიგრძვნია, არც სირცხვილს შევუწუხებივარ – სტადიონზე მოსული მაყურებლის წინაშე, თავისი გულშემატკივრებისა და თვით ფეხბურთის წინაშე თბილისის “დინამოს” ვალი უკვე მოხდილი ჰქონდა. თუნდაც იმით, რომ მატჩის შემდეგ მოსკოველ დინამოელთა ერთ ძველ ქომაგს ათქმევინა: “ახლა, უფლება რომ მომცენ და რომ შეიძლებოდეს, ჩემპიონის გვირგვინს თქვენს გუნდს დავადგამდიო”.

არ ვიცი, იქნებ ვცდებოდე კიდევ, მაგრამ იმ წუთებში ათი ცნობილი სპეციალისტის ქათინაურებს, რიგითი გულშემატკივრის ეს სიტყვები ვარჩიე.

ი. ბერიაშვილი (ჩვენი სპეც. კორ.).  
“ლელო”, 26 აპრილი, 1978 წ.